

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსის“ აქციონერებს

2022 წლის 4 ნოემბერს დღის 15 საათზე ქ. ბათუმში, კომახიძის ქ. #119-ში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ მისამართზე: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. #119, IV სართული, სააქტო დარბაზი) გაიმართება სს „აჭარის წყლის ალიანსის“ აქციონერთა რიგითი საერთო კრება, შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2021 წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
2. სს „აჭარის წყლის ალიანსის“ 2023 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემების (ბიზნეს-გეგმის) დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
3. სს „აჭარის წყლის ალიანსის“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშის შემოწმებაზე აუდიტორის დანიშვნის შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
4. აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სს „აჭარის წყლის ალიანსის“ წყალმომარაგების საწარმოების კონცეფციის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს) მუნიციპალიტეტში ცალ-ცალკე სს „აჭარის წყლის ალიანსის“ მიერ ახალი წყალმომარაგებისა და წყალარინების საწარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს-ს) სახის სამართლებრივი ფორმით დაფუძნების შესახებ (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2020-2021 წლების ფინანსური და შესაბამისობის ანგარიშის შედეგებისა და რეკომენდაციების განხილვა (მომხსენებელი - საზოგადოების დირექტორი თეიმურაზ ბედინაძე);
6. საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მარეგისტრირებელ ორგანოში, ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებელ პირის დანიშვნის თაობაზე..

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ აქციონერთა რიგითი საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დადგინდეს 2022 წლის 17 ოქტომბერი;

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს დღის 14 საათიდან.

კრებაში მონაწილეობის უფლებისა და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობის დადგენის შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორს“ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 74ა; ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის 11 (საკონტაქტო პირი - ლუიზა ჩიკაშუა, ტელეფონის ნომერი: 599 15-88-06).

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორს გააჩნიათ შემდეგი სახის რეკომენდაციები (გადაწყვეტილების პროექტები):

- A.** აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:
- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ 2021 წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილი სახით.
- B.** აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:
- დამტკიცდეს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ 2023 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები (ბიზნეს-გეგმა) წარმოდგენილი სახით;
 - სს „აჭარის წყლის ალიანსის“ 2023 წლის ხარჯების საპროგნოზო მონაცემები განისაზღვროს 8,602,240 (რვა მილიონ ექვსასორიათასორასორმეტი) ლარით;
- C.** აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:
- დაევალოს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დირექტორს 2022 წლის ფინანსური ანგარიშის შემოწმებაზე აუდიტორის არჩევა მოხდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ შესაბამისად ტენდერის გამოცხადების საშუალებით;
- D.** აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:
- მიეცეს უფლება სს „აჭარის წყლის ალიანსის“ აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული წყალმომარაგების საწარმოების კონცეფციის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს) მუნიციპალიტეტში ცალ-ცალკე დააფუძნოს საწარმოები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს-ს) სახის სამართლებრივი ფორმით და 100%-იანი სს „აჭარის წყლის ალიანსის“ წილობრივი მონაწილეობით;
 - რაც შეეხება მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობების შესაბამისად მარეგისტრირებელი ორგანოსათვის წარსადგენ სხვა სარეგისტრაციო მოთხოვნების რეგისტრაციის მოთხოვნას, კერძოდ კი საწარმოს სახელწოდებას/საფირმო სახელწოდებას, საწარმოს იურიდიულ მისამართს, საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) მონაცემებს, საწარმოს წესდებასა და რეესტრში რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერს ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართს, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დირექტორმა ის უნდა მოახდინოს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ.
- E.** აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:
- დაევალოს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დირექტორს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება;
 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ კაპიტალური ხარჯების გაწვევის მიზნით მიღებული დაფინანსება აისახოს ვალდებულების ანგარიშზე. გარდა ამისა, საწარმოს ლიკვიდაციისა ან გაკოტრების შემთხვევაში სამინისტროს მიეცეს უპირატესი უფლება გაიტანოს მის მიერ შეტანილი კაპიტალის მოცულობა და ასევე მოგება არ განაწილდეს მანამ, სანამ სამინისტროს მიერ არ იქნება ამოღებული კაპიტალდაბანდება სრულად.
- F.** აქციონერთა რიგითი საერთო კრების დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით: მიეცეს უფლება სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მარეგისტრირებელ ორგანოში, ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს როინ დიასამიძე- სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს

დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში, (პ/ნ 61001012038); დაბადების თარიღი: 21.07.1974; მის: ბათუმი, ახვლედიანის 14/12.

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსის“ დირექტორატი